შპს „ვეჯინი" (ს/კ 216300866)

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

## 1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შპს „ვეჯინი" (შემდგომში „საზოგადოება") დაფუძნებულია „ მეწარმეთა შესახებ"კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია ქ. რუსთავის სასამართლოს მიერ 1995 წლის 13 ორქტომბერს, საიდენთიფიკაციო ნომრით: 216300866

1.2 საზოგადოების ძირითად საქმეიანობას წარმოადგენს:
საცალო ვაჭრობა საკვები პროდუქტებით, სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით.

1.3 საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1 საზოგადოების მიერ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება მესამედ. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია 2018, 2019 და 2020 წელს.

2.2 საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.3 მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები(მსს ფასს)" - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

2.4 საზოგადოება წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანაგრიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;

2.5 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ,საზოგადოების პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

2.6 ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან

გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2019 2020 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებითარსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციას და შესაბამისად მოგება-ზარალისა და კაპიტალზე;

2.7 უცხოურ ვალუტაში გამოსახურლი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს ასახურლი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის -31 დეკემბერს არსებული კურსით;

2.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;

2.9 საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეტა შესწორდება პერსპექტიულად;

2.10 არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა);

2.11 ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუარა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებადღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.12 მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისტანავე - დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.

2.13 სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალიაისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში;

2.14 ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვიტ. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი და საპენსიო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;

2.15 ბანკის სესხებზე დარიცხული ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;

2.16 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

2.17 საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. მფლობელს შეუძლია გაზარდოს საზოგადოების კაპიტალის ოდენობადამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით.შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეიძლება წარმოდგენილი იქნებს, როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით;

2.18 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;

2.19 ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ბალანსს (შენიშვნებით)
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.

შპს ვეჯინი_ის დირექტორი /ბ. ლომიშილი/

მთავარი ბუღალტერი /ბ. თონღუზაშვილი/

თარიღი 01,10,2022წ.

შპს "ვეჯინი" (ს/კ 216300866)

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2021 | | | | |
|---|---|---|---|---|
| აქტივები | შენიშვნა | 12/31/2021 | 12/31/2020 | 12/31/2019 |
| მიწა | 1 | | | |
| ძირითადი საშუალებები | 1 | 1097331 | 1,186,919.00 | 1,301,285.00 |
| არამატერიალური აქტივები | 1 | | | |
| | | | | |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | | | 1,186,919.00 | 1,301,285.00 |
| | | | | |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები | 2 | 155,562 | 718,860.00 | 3,290,423.00 |
| სავაჭრო და დებიტორული დავალიანებები | 3 | 39,456 | 747,852.00 | 1,034,785.00 |
| გადახდილი ავანსები | 3 | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 4 | | 160,760.00 | 145,843.00 |
| საგადასახადო ზედმეტობა | 5 | | | 43,003.00 |
| სულ მიმდინარე აქტივები | | 195,018.00 | 1,627,472.00 | 4,514,054.00 |
| სულ აქტივები | | 195,018.00 | 2,814,391.00 | 5,815,339.00 |
| | | | | |
| ვალდებულებები | | | | |
| | | | | |
| სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები | 6 | 689216 | 662,670.00 | 2,160,297.00 |
| საგადსახადო ვალდებულებები | 7 | | | |
| სასესხო ვალდებულებები | 8 | | | |
| | | | | |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები | | 689,216.00 | 662,670.00 | 2,160,297.00 |
| | | | | |
| კაპიტალი | | | | |
| | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 9 | 630,094 | 2,142,612.00 | 3,526,126.00 |
| გაუნაწილებელი მოგება | 9 | 15,601 | 9,109.00 | 128,916.00 |
| | | | | |
| სულ კაპიტალი | | 645,695.00 | 2,151,721.00 | 3,655,042.00 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | | 1,334,911.00 | 2,814,391.00 | 5,815,339.00 |

დირექტორი:

ბუღალტერი:

*შპს "ვეჯინი" (ს/კ 216300866)*

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021წ-ის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

| # | დასახელება | თანხა |
|---|---|---|
| | შემოსავალი | |
| 1 | შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 5,866,543.00 |
| 2 | ბანკიდან სესხის მიღება | |
| | სულ შემოსავალი | |
| | გასავალი | |
| 1 | გადახდილი ხელფასები | - 64,569.00 |
| 2 | გადახდილი დივიდენდი | |
| 3 | გადახდილი გადასახადები | |
| 4 | სესხის გადახდა (ბანკი) | |
| 5 | გადახდილი % | |
| 6 | ბანკის მომსახურების ხარჯი | - |
| 7 | კომუნალური გადასახადები და სხვა ხარჯები | 13,412.00 |
| 8 | საწესდებო კაპიტალის შემცირება | |
| 9 | მომწოდებელზე გადახდილი | 286,153.00 |
| | სულ გასავალი | |
| | | |
| | ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში | 160,760.00 |
| | | |
| | ფული და გულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის | 42,562.00 |

დირექტორი:

ბუღალტერი:

შპს "ვეჯინი" (ს/კ 216300866)

## 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

| ანგარიში | შემოსავალი | თანხა |
|---|---|---|
| 6110 | შემოსავალი რეალიზაციიდან | 5,866,543.00 |
| 6111 | შემოსავალი მაღაზიიდან | |
| 6191 | იჯარა | |
| 8110 | საპროცენტო შემოსავალი | |
| | სულ შემოსავალი | 5,866,543.00 |
| | | |
| | | |
| | ხარჯები | |
| 7120 | პირდაპირი ხელფასი | |
| 7210 | გაყიდული/შეძენილი საქონელი | - 5,397,220.00 |
| 7410 | შრომის ანაზღაურება | - 64,569.00 |
| 7411 | კვება | |
| 7425 | საოფისე ინვენტარი | |
| 7430 | კომუნიკაციის ხარჯი | - |
| 7440 | რემონტი | - |
| 7450 | საკონსულტაციო ხარჯი | - |
| 7453 | სამეურნეო ხარჯი | - |
| 7455 | ცვეთა და ამორტიზაცია | - 89,588.00 |
| 7465 | სხვა საგადასახადო ხარჯი | |
| 7470 | საკანცელარიო ხარჯი | |
| 7475 | საწვავის ხარჯი | |
| 7490 | სხვა საერთო ხარჯი | - 299,565.00 |
| 8210 | საპროცენტო ხარჯი | - |
| 8220 | არასაოპერაციო ზარალი | |
| | სულ ხარჯი | - 5,850,942.00 |
| | | |
| | მოგება | 15,601.00 |
| | მოგების განაწილება | - |
| | დარჩენილი მოგება | 15,601.00 |

დირექტორი:

ბუღალტერი:

შპს ვეჯინი * საქართველო, ქ. ვანი * VEJINI LTD * GEORGIA * 216300866

*შპს "ვეჯინი" (ს/კ 216300866)*

შენიშვნა 1 ფიქსირებული აქტივები

| | |
|---|---|
| ბალანსი 31 დეკემბერი 2019 | 1,301,285.00 |
| მიწის ნაკვეთები | |
| შენობა-ნაგებობები | 827,543.00 |
| მანქანა-დანადგარები | 473,742.00 |
| ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი | |
| არამატერიალური აქტივები | |
| | |
| | |
| ბალანსი 31 დეკემბერი 2020 | 1,186,919.00 |
| მიწის ნაკვეთები | |
| შენობა-ნაგებობები | 786,166.00 |
| მანქანა-დანადგარები | 400,753.00 |
| ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი | |
| არამატერიალური აქტივები | |
| | |
| | |
| ბალანსი 31 დეკემბერი 2021 | 1,097,331.00 |
| მიწის ნაკვეთები | |
| შენობა-ნაგებობები | 746,858.00 |
| მანქანა-დანადგარები | 350,473.00 |
| ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი | |
| არამატერიალური აქტივები | |
| | |
| | |

დირექტორი:

ბუღალტერი:

საქართველო. შპს "ვეჯინი" * GEORGIA. 216300866. VEJINI LTD * ვეჯინი VEJINI

**შპს "ვეჯინი" (ს/კ 216300866)**

**შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

| # | დასახელება | 31,12,2021 |
|---|---|---|
| 1 | სასაქონლო მატერიალური მარაგები | 155,562.00 |
| | | |
| | | |
| | | 155,562.00 |
| | | |
| | | |

დირექტორი:

ბუღალტერი:

შპს "ვეჯინი" (ს/კ 216300866)

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება; გადახდილი ავანდები

| # | დასახელება | 31,12,2021 |
|---|---|---|
| 1 | დებიტორული დავალიანება | 39,456.00 |
| | | |
| | | |
| | | |
| | სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიენება | 39,456.00 |
| | | |

დირექტორი:

ბუღალტერი:

შპს ვეჯინი VEJINI
GEORGIA 216300866 "VEJINI" LTD
* საქართველო. შპს "ვეჯინი" *

შპს "ვეჯინი" (ს/კ 216300866)

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

| # | დასახელება | 31,12,2021 |
|---|---|---|
| 1 | ნაღდი ფული სალაროში | 40,749.00 |
| 2 | ფული საბანკო ანგარიშზე | 1,813.00 |
| | | |
| | | |
| | სულ ფული და ფულადი ექვივალენტები | 42,562.00 |
| | | |

დირექტორი:

ბუღალტერი:

*შპს "ვეჯინი" (ს/კ 216300866)*

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები

| # | დასახელება | 31,12,2021 |
|---|---|---|
| 1 | კრედიტორული დავალიანება | 684,652.00 |
| 2 | გადასახდელი ხელფასი | 4,564 |
| | | |
| | | |
| | ჯამი | 689,216.00 |
| | | |

დირექტორი:

ბუღალტერი:

საქართველო. შპს "ვეჯინი" * GEORGIA. "VEJINI" LTD * 216300866 ვეჯინი VEJINI

შპს "ვეჯინი" (ს/კ 216300866)

შენიშვნა 6 - საგადასახადო ვალდებულებები

| # | დასახელება | 31,12,2021 |
|---|---|---|
| 1 | საგადასახადო ვალდებულებები | - |
| | | |
| | | |
| | | |
| | სულ საგადასახადო ვალდებულებები | - |
| | | |

დირექტორი:

ბუღალტერი:

*შპს "ვეჯინი" (ს/კ 216300866)*

შენიშვნა 6 - სასესხო ვალდებულებები

| # | დასახელება | 31,12,2021 |
|---|---|---|
| 1 | სესხი სს თი ბი სი ბანკიდან | - |
| | სესხი შპს ფენიქსი | - |
| | | |
| | | |
| | სულ სასესხო ვალდებულებები | - |
| | | |

დირექტორი:

ბუღალტერი:

შპს "ვეჯინი" (ს/კ 216300866)
შენიშვნა 8 - კაპიტალი

| # | დასახელება | გაუნაწილებელი მოგება | საწესდებო კაპიტალი | ჯამურად |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 128,916.00 | 3,526,126.00 | 3,655,042.00 |
| 2 | ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 9,110.00 | 2,142,612.00 | 2,151,722.00 |
| 3 | საანგარიო პერიოდის მოგება | 15,601.00 | 1,521,627.00 | 1,537,228.00 |
| 4 | კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა | - | - | - |
| 5 | ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 153,627.00 | 7,190,365.00 | 7,343,992.00 |

დირექტორი:

ბუღალტერი: